

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული
გამოქვეყნების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

თებერვალი, 2017



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ –ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში“ ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ახორციელებს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი	3
საქართველო.....	3
საქართველოს უზენაესი სასამართლო.....	4
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	13
საქმისწარმოების სისტემის პლატფორმა.....	17
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო	20
ამერიკის შეერთებული შტატები	26
ავსტრალია.....	33
ავსტრალიის ფედერალური სასამართლო	33
ფედერალური და საოლქო სასამართლოების ერთიანი პლატფორმა	38
ავსტრალიის უმაღლესი სასამართლო	39
დასავლეთ ავსტრალიის უზენაესი სასამართლო	41
კანადა	45
კანადის უზენაესი სასამართლო	45
კანადის ფედერალური სასამართლო.....	50
ადგილობრივი სასამართლოები	53
კანადის სასამართლო პორტალი.....	55
სამოქალაქო ინიციატივა სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ.....	57
ირლანდია.....	63
ესტონეთი	68
სასამართლოების ერთიანი პლატფორმა	68
ესტონეთის უზენაესი სასამართლო	73
რუსეთის ფედერაცია.....	75
უზენაესი სასამართლო	76
სამოქალაქო საზოგადოების მიერ შექმნილი სასამართლო გადაწყვეტილებათა პორტალი ...	82
ბოსნია და ჰერცეგოვინა	88
უკრაინა	90
უკრაინის სასამართლოს გადაწყვეტილებათა რეესტრი	90
სომხეთი	92
სასამართლო გადაწყვეტილებების ონლაინ პორტალი	92
დასკვნები და რეკომენდაციები.....	95

შესავალი

სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიული ხელმისაწვდომობა კარგი მმართველობის, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სასამართლო სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და წინაპირობაა. ამ მიმართულებით იურიდიული ჩარჩოს უზრუნველყოფასთან ერთად, მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებათა და სამართალწარმოების პროცესის შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტის არსებობა.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ანგარიშში რამდენიმე ქვეყნის პრაქტიკაა თავმოყრილი, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიის, ირლანდიის, ესტონეთის, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, ბოსნია და ჰერცეგოვინას სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოსა და სასამართლოთა ერთიანი პორტალების/რეესტრების დიზაინი, გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების ფორმა და მათი საძიებო სისტემები. აღნიშნული სამართლებრივი სისტემების პრაქტიკის შესწავლა განპირობებულია იმით, რომ ამ ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტებია დანერგილი. კვლევაში ასევე აღწერილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პორტალის, HUDOC-ის სტრუქტურა.

საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და გადაწყვეტილებათა ერთიანი რეესტრის (INFO.COURT.GE) განვითარების მიზნით, კვლევის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები.

საქართველო

საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებებს საკუთარ ვებგვერდებზე საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები აქვეყნებენ. რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, მათთვის შექმნილია სპეციალური ვებგვერდი INFO.COURT.GE, რომელმაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მომავალში სასამართლო გადაწყვეტილებათა (პირველი და სააპელაციო ინსტანციები, ასევე უზენაესი სასამართლო) ერთიანი რეესტრის ფუნქცია უნდა იტვირთოს.

2016 წლის 12 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების - „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ - მიხედვით, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების, ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გამოქვეყნების წესი.

ანგარიშის ეს თავი მიმოიხილავს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიული გამოქვეყნების არსებულ პრაქტიკას, აფასებს INFO.COURT.GE-ის პორტალს და აღწერს იმ ცვლილებებს, რომლებსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ითვალისწინებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდის შემთხვევაში, გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა პირველივე გვერდზეა¹ განთავსებული (იხ. სურათი #1). პროგრამის აღწერაში 2016 წლის ოქტომბრის მდგომარეობით მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე ბოლოს გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები 2016 წლის ივლისით თარიღდება, ხოლო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე - 2016 წლის სექტემბრით. აღსანიშნავია, რომ კვლევის მომზადების დაწყებისას, პროგრამა ბოლოს 2016 წლის მაისში იყო განახლებული, ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილებები 2016 წლის თებერვლით თარიღდებოდა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე კი 2016 წლის აპრილით. გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა მოგვიანებით განახლდა და დაემატა 2016 წელს მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნული მიანიშნებს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები კვარტალურად და არა რეალურ დროში ქვეყნდება.



მოსამართლეების, ცენტრალური საბარჩევნო კომისიის წარმომადგენლებისა და სამართავრობისო მესპერტების მონაწილეობით საბარჩევნო საპითხებზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კლენუმის სხდომა
20-09-2016

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კლენუმის სხდომა
16-09-2016

მნიშვნელოვანი განმარტებები
იხილეთ მეტი

გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა
იხილეთ მეტი

ინფორმაციო საშუალების შესახებ
იხილეთ მეტი

სურათი 1: გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე

საძიებო პროგრამის აღწერის მიხედვით, გადაწყვეტილებების ტექსტში დაშტრიხულია პირთა პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, მისამართი, განათლება, სამუშაო ადგილი, პროფესია და ა.შ).

საძიებო პროგრამაში საქმეები დაყოფილია სამ კატეგორიად: სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული. საძიებო ველში მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს:

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი: <http://www.supremecourt.ge/>

- საძიებო სიტყვა/სიტყვები მთლიან ტექსტში;
- საქმის ნომერი;
- თარიღი;
- საჩივრის სახე - ჩამოთვლილია რამდენიმე ასარჩევი კატეგორია;
- შედეგი - ჩამოთვლილია ასარჩევი კატეგორიები (იხ. სურათი #2).

სურათი 2: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში შესავსები ველები.

ძიების შედეგად თითოეული გადაწყვეტილების შემთხვევაში გამოტანილია შემდეგი მონაცემი:

- საქმის ნომერი; • თარიღი;
- საჩივრის სახე ან/და შედეგი (იხ. სურათი #3).

შესაბამისად, იმ ადამიანისთვის, ვინც ზუსტად არ იცის საქმის ნომერი, რთული იქნება ვრცელ ჩამონათვალში სასურველი გადაწყვეტილების მოძებნა.

ძიების შედეგები	დალაგება: თარიღი ▼ კლებადობით ▼ >>
ახალი სამიწებელი ძებნის გაგრძელება	
საქმის №: 2კ-154აპ.-16	
თარიღი:	29/07/2016
საჩივრის სახე:	საკვასაციო საჩივარი
შედეგი:	
ვრცლად	
საქმის №: 2კ-338აპ.-16	
თარიღი:	29/07/2016
საჩივრის სახე:	საკვასაციო საჩივარი
შედეგი:	დატოვებულია უცვლელად
ვრცლად	
საქმის №: 2კ-377აპ.-16	
თარიღი:	29/07/2016
საჩივრის სახე:	საკვასაციო საჩივარი
შედეგი:	

სურათი 3: ძიების შედეგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.

ცალკეული გადაწყვეტილების ტექსტი მოცემულია სრული გადაწყვეტილების სახით. დაშტრიხულია ყველანაირი (როგორც მხარეთა, ასევე მათი იურიდიული წარმომადგენლების) პერსონალური მონაცემი. ნაჩვენებია მხოლოდ მოსამართლეთა სახელი და გვარი. პროგრამას ასევე არ გააჩნია სხვადასხვა ფორმატებში დოკუმენტის გადმოწერის ფუნქცია.

საქმე №154აპ-16 ნ-ე ბ. 154აპ-16	ქ. თბილისი 29 ივლისი, 2016 წელი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:	
პაატა სილაგაძე (თავმჯდომარე), ნინო გვენეტაძე, გიორგი შავლიაშვილი	
<p>ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ნ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ნ-ს საკვასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 24 თებერვლის განაჩენზე.</p>	
ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :	
<p>1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 სექტემბრის განაჩენით ბ. ნ-ე, - დაზარალებული 19.. წელს, - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.</p>	
<p>2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის განაჩენით განსაზღვრული და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის განჩინებით განახევრებული პირობითი მსჯავრი - 2 წელი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს - 2 წლით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ბ. ნ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 28 ივლისიდან.</p>	

სურათი 4: უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ასევე მიბმულია არასამთავრობო ორგანიზაცია [„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“](#) მიერ, შვედეთის [საერთაშორისო განვითარების სააგენტოს \(SIDA\)](#) ფინანსური მხარდაჭერით შემუშავებული „მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა“. აღნიშნულ პლატფორმაზე გადაწყვეტილებები ასევე სამ კატეგორიადაა დაყოფილი (სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული), თუმცა თითოეულის შემთხვევაში საძიებო სისტემა განსხვავებული და უფრო დეტალურია.

სისხლის სამართლის საქმეების გადაწყვეტილებების ძიება შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

- საქმის ნომერი;
- თარიღი;
- კანონი - კანონის დასახელების არჩევა;
- სფერო - არჩეული კანონის რეგულირების სფერო;
- მუხლი - არჩეული რეგულირების სფეროს მიხედვით, მუხლის ნომრის მითითება; შესაბამისი მუხლის სხვა კომპონენტები - ნაწილი, ქვეპუნქტი, ქვე-კატეგორია და ა.შ.;
- საძიებო სიტყვა (იხ. სურათი #5).

სისხლი	სამოქალაქო	ადმინისტრაციული
საქმის ნომერი	<input type="text"/>	
თარიღი	<input type="text"/> დან	<input type="text"/> მდე
კანონი	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი <input type="radio"/> ☰	
სფერო	ნარკოტიკული დანაშაული <input type="radio"/> ☰	
მუხლი	260 <input type="radio"/> ☰	
ნაწილი	2 <input type="radio"/> ▼	
ქვეპუნქტი	<input type="text"/> ▼ <input type="radio"/>	
შენიშვნა	<input type="text"/> ▼ <input type="radio"/>	
ელემენტი	<input type="text"/> <input type="radio"/>	
ქვეკატეგორია	<input type="text"/> <input type="radio"/> ☰	
საძიებო სიტყვა	<input type="text"/>	
<input type="button" value="ძიება"/>		<input type="button" value="გასუფთავება"/>

სურათი 5: მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში სისხლის სამართლის საქმეების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში საძიებო სისტემა ითხოვს შემდეგი კატეგორიის ინფორმაციის მითითებას:

- საქმის ნომერი;
- თარიღი;
- კანონი - კანონის დასახელების არჩევა;
- სფერო - კანონის რეგულირების სფეროს არჩევა;
- მუხლი - არჩეული რეგულირების სფეროს მიხედვით, მუხლის ნომრის მითითება;
- საძიებო სიტყვა (იხ. სურათი #6).

სისხლი	სამოქალაქო	ადმინისტრაციული
საქმის ნომერი	<input type="text"/>	
თარიღი	<input type="text"/> დან	<input type="text"/> მდე
კანონი	<input type="text"/>	<input type="radio"/> ☰
სფერო	<input type="text"/>	<input type="radio"/> ☰
მუხლი	<input type="text"/>	<input type="radio"/> ☰
ქვეკატეგორია	<input type="text"/>	<input type="radio"/> ☰
სამიუბო სიტყვა	<input type="text"/>	
	<input type="button" value="ძიება"/>	<input type="button" value="გასუფთავება"/>

სურათი 6: მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების სამიუბო სისტემაში სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტილებების სამიუბო სისტემა.

მოძიებული გადაწყვეტილებების ჩვენებისას, პირველ გვერდზე გამოდის: 1. საქმის ნომერი; 2. საქმის სახეობა; 3. თარიღი; 4. კანონი; 5. მუხლი; და 6. განმარტება.

საქმის ნომერი: ბს-854-836 (კ-12)
პალატა: ადმინისტრაციული
თარიღი: 10.10.2013
კანონი: სასაქონლო ნიშნების შესახებ
მუხლი: 16

განმარტება: ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ „საქპატენტის“ გადაწყვეტილების გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების მიღებიდან და არა უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მითითებული მოსაზრება და აღნიშნა, რომ აქტის გაცნობამდე გასაჩივრების დაშვება გამოიწვევდა საჩივრის მიზნის - კონტროლის განხორციელების უარყოფას.

ვრცლად

სურათი 7: მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების სამიუბო სისტემაში ძიების შედეგად გამოტანილი ინფორმაცია.

საყურადღებოა, რომ ძიების შედეგად ნაპოვნ გადაწყვეტილებასთან ერთად, მითითებულია ამ გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის სახელი და გვარი. საგულისხმოა, რომ მოსამართლის სახელზე გადასვლით შესაძლებელია მის მიერ მიღებული სხვა გადაწყვეტილებების ნახვა (იხ. სურათი #8). რაც ამ სამიუბო სისტემის ცალსახად დადებით მხარეს წარმოადგენს.

ნუგზარ სხირტლაძე

ბს-854-836 (კ-12)

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ „საქპატენტის“ გადაწყვეტილების გასაჩივრების სამთვიანი ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების მიღებიდან და არა უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მითითებული მოსაზრება და აღნიშნა, რომ აქტის გაცნობამდე გასაჩივრების დაშვება გამოიწვევდა საჩივრის მიზნის - კონტროლის განხორციელების უარყოფას.

ბს-424-413(გ-13)

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავებისათვის დამახასიათებელია პროცესუალური ორგვაროვნება, ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მიმართულებისაა, ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს (სსიპ „საქპატენტის“) მიმართ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის შესახებ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია და შესაბამისად დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო მეორეს მხრივ დაინტერესებული პირის მიერ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების დაცვის მოთხოვნა სამოქალაქო-სამართლებრივია.

ბს-1521-1478 (2კ-08)

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ჩაერთვება მისი ახლო ნათესავი, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურებას. მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

სურათი 8: მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში ცალკეული მოსამართლის სახელზე გადასვლისას ნაჩვენები მის მიერ განხილულ საქმეთა გადაწყვეტილებები.

ამკარაა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ შექმნილი საძიებო სისტემა, უზენაესი სასამართლოს საძიებო სისტემასთან შედარებით, უფრო დახვეწილია, თუმცა ცალკეული ფუნქციების დამატება მასზეც შეიძლება.

გამჭვირვალე მართლმსაჯულების კუთხით, მნიშვნელოვანია სამართალწარმოებასთან დაკავშირებით არსებული სტატისტიკის ხელმისაწვდომობაც. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს პირველივე გვერდზე სტატისტიკის განყოფილებაა განთავსებული, მასში არსებული მონაცემები არა ღია ფორმატში, არამედ PDF დოკუმენტებად არის გამოქვეყნებული (იხ. სურათი #9), რაც დაინტერესებული მხარისთვის მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის პროცესს ართულებს. გამოქვეყნებული მონაცემები წლების და კატეგორიების მიხედვითაა მოცემული.

საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები (2016 წელი 8 თვე)

სტატისტიკური მონაცემები 2016 წლის 8 თვეში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შესახებ

მონაცემები ნასამართლობის შესახებ

მონაცემები I ინსტანციის სასამართლოების მიერ საპროცესო შეთანხმებით განხილულ საქმეებზე

საქართველოს I ინსტანციის სასამართლოებში საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები (პროცენტი სულ განხილულ საქმეებში)

მონაცემები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ

აღკვეთის ღონისძიებების სტრუქტურა

მონაცემები სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებაზე

საქართველოს სააპელაციო სასამართლოების მიერ სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ

მონაცემები უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ

სტატისტიკური მონაცემები სამოქალაქო საქმეთა განხილვის შესახებ

სტატისტიკური მონაცემები ადმინისტრაციულ საქმეთა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვის შესახებ

მონაცემები I ინსტანციის სასამართლოების მიერ 2016 წლის 8 თვეში განხილული ადმინისტრაციული საქმეების შესახებ


მონაცემები I ინსტანციის სასამართლოების მიერ 2016 წლის 8 თვეში განხილული საგადასახადო საქმეების შესახებ

მონაცემები საქართველოს სააპელაციო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ განხილულ სააპელაციო საჩივრებზე

სურათი 9: სტატისტიკის განყოფილება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.

სტატისტიკის განყოფილებაში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემების გრაფიკული დინამიკის გაცნობა, თუმცა მითითებული ბმული არ მუშაობს. სტატისტიკის ეს მოდული შეიქმნა [ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის \(IDFI\) პროექტის „საქართველოს სასამართლო სისტემის საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება“](#) ფარგლებში. პროექტი განხორციელდა „[ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის](#)“ (EPF - ამჟამად ევროპის ფონდის) „სამოქალაქო ინიციატივა დამოუკიდებელი სასამართლოსთვის“ პროგრამის ფარგლებში.

მოდული მოიცავდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემებისა და სასამართლოს მიერ გამოცემული სტატისტიკური მონაცემების კრებულის „მართლმსაჯულება საქართველოში“ ვიზუალიზაციის საშუალებას. მონაცემები წარმოდგენილი იყო სექტორული და სვეტოვანი დიაგრამების სახით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შედეგების კატეგორიების მიხედვით, დეტალურად ნახვა (იხ. სურათი #10).



სურათი 10: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სტატისტიკის მოდული.

ინფორმაცია საქმეების შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ასევე არსებობს განყოფილება სახელწოდებით „ინფორმაცია საქმეების შესახებ“, თუმცა მასში არანაირი ინფორმაცია არ არის განთავსებული (იხ. სურათი #11). სასამართლოს ადმინისტრაციამ უნდა ამოქმედოს ეს განყოფილება და მასში შემდეგი ინფორმაცია გამოაქვეყნოს:

- განსახილველ საქმეთა განრიგი;
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის წარმოების საძიებო სისტემა;
- განსახილველ საქმეთა რაოდენობა.

სურათი 11: უზენაესი სასამართლოს ვებგვერდის განყოფილება „ინფორმაცია საქმეების შესახებ“.




ამ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებით, სასამართლო გაზრდის საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობას და მომხმარებელს საშუალებას მისცემს ონლაინ გაეცნოს სასამართლოს მიმდინარე პროცესების შესახებ არსებულ ინფორმაციას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე² არსებობს სასამართლო აქტების განყოფილება, სადაც შესაძლებელია გადაწყვეტილებების ნახვა. მოდულში განთავსებულია გადაწყვეტილებათა დეტალური საძიებო სისტემა, შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

- თარიღი;
- კატეგორია - ჩამოთვლილია დოკუმენტთა კატეგორიები: განჩინებები, საოქმო ჩანაწერები, გადაწყვეტილებები;
- რეგისტრაციის ნომერი;
- მოსარჩელე; • მოპასუხე;
- დავის საგანი (იხ. სურათი #12).



² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი: <http://www.constcourt.ge/ge/>

სურათი 12: გადაწყვეტილებების სამიზნო სისტემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე.

საძიებო სისტემაში თითოეულ გადაწყვეტილებაზე შემდეგი მონაცემებია ხელმისაწვდომი:

- კოლეგია, რომელმაც განიხილა საკითხი;
- რეგისტრაციის ნომერი;
- თარიღი;
- კოლეგიის შემადგენლობა, თითოეული წევრის სახელი და სტატუსი;
- სარჩელის დასახელება;
- მომხსენებელი მოსამართლე;
- მოსარჩელე;
- მოპასუხე;
- დავის საგანი;
- სარეზოლუციო ნაწილი (იხ. სურათი #13).

სრული ვერსიის გადმოწერა	
კოლეგია	მეორე კოლეგია
რეგისტრაციის ნომერი	2/5/595
თარიღი	04 აგვისტო, 2016
შემადგენლობა	ზაზა თავაძე - სხდომის თავმჯდომარე; ოთარ სიჭინავა - წევრი; ლალი ფაფიაშვილი - წევრი, მომხსენებელი მოსამართლე; თამაზ ცაბუტაშვილი - წევრი.
სარჩელის დასახელება	საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ
მომხსენებელი მოსამართლე	ლალი ფაფიაშვილი
მოსარჩელე	საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე
მოპასუხე	საქართველოს პარლამენტი
დავის საგანი	„საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის 99-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.
სარეზოლუციო ნაწილი	არ დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელი № 595 („საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

სურათი 13: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოების სისტემისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებებს სრულად, მხარეთა პერსონალური მონაცემების დაშტრიხვის გარეშე აქვეყნებს, თუმცა ცალკეული გადაწყვეტილების სრული ტექსტის ნახვა მხოლოდ Word-ის ფორმატში არსებული დოკუმენტის ჩამოტვირთვით არის შესაძლებელი.


საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე ასევე არსებობს სტატისტიკის განყოფილება, თუმცა მასში განთავსებული ინფორმაცია ზოგადია და ღია ფორმატში არ ქვეყნდება. კერძოდ, მონაცემების გადმოწერა მხოლოდ Word-ის ფორმატშია შესაძლებელი. აღნიშნულ დოკუმენტებში საკმაოდ მწირი ინფორმაციაა მოცემული, სახელდობრ, საკონსტიტუციო სასამართლოში შესული სარჩელები მხოლოდ წლების და რაოდენობის მიხედვით არის დახარისხებული (იხ. სურათი #14).

შემაჯავებელი კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები		
		29.07.2016წ
წლები	2016	სულ
სულ შემოვიდა	106	106
კონსტიტუციური სარჩელი	72	72
კონსტიტუციური წარდგინება	34	34

სურათი 14: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე სტატისტიკის მოდულში გამოქვეყნებული ინფორმაცია.

შედარებით უფრო მრავალფეროვანი მონაცემები ქვეყნდებოდა 1998-2007 წლების პერიოდის შესახებ:

- მოსარჩელე სუბიექტები;
- მოპასუხე სუბიექტები;
- სადავო ნორმატიული აქტები;
- განხილული კონსტიტუციური სარჩელების/წარდგინებების ოდენობა;
- კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების განხილვის შედეგები, მოსარჩელეებისა და სადავო აქტების მიხედვით (იხ. სურათი #15).



სურათი 15: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე სტატისტიკის მოდულში 1998-2007 წლების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საქმისწარმოების სისტემის პლატფორმა

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობისთვის შექმნილია საქმისწარმოების სისტემის ვებგვერდი,³ სადაც მომავალში იგეგმება რაიონული/საქალაქო, სააპელაციო სასამართლოების, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება. დღესდღეობით მოქმედ პლატფორმაზე გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების მიხედვითაა დალაგებული.

სისხლის სამართლის საქმეების ძიება შემდეგი ტიპის ინფორმაციის მითითებით ხდება:

- დანაშაულის სახე - არ არის ჩამოთვლილი შესაძლო ვარიანტები;
- შედეგი - მსჯავრი დაედო თუ გამართლდა; • გადაწყვეტილების თარიღი;
- საძიებო სიტყვა ტექსტში (იხ. სურათი #16).

სურათი 16: საქმისწარმოების სისტემის პლატფორმაზე სისხლის სამართლის საქმეების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში, გადაწყვეტილებათა ტექსტების ძიებისას, მომხმარებელმა შემდეგი მონაცემები უნდა მიუთითოს:

- საქმის ნომერი;
- გამოყენებული მუხლი - მითითებული არ არის ვარიანტები;


³ საქმისწარმოების სისტემის ვებგვერდი: <http://info.court.ge/Login.aspx>

- დოკუმენტის ტიპი - ჩამოთვლილია შესაძლო ვარიანტები;
- დავის კატეგორია - ჩამოთვლილია შესაძლო ვარიანტები;
- გამოყენებული კანონი - მითითებული არ არის ვარიანტები;
- შედეგი - ჩამოთვლილია შესაძლო ვარიანტები; • თარიღი;
- საძიებო სიტყვა ტექსტში (იხ. სურათი #17).

რეგიონული/საქალაქო გადაწყვეტილებები		სააკადემიო გადაწყვეტილებები
სისხლი	სამოქალაქო	ადმინისტრაციული
საქმის ნომერი	გამოყენებული მუხლი	დოკუმენტის ტიპი
დავის კატეგორია	გამოყენებული კანონი	შედეგი
საკვანძო სიტყვა	გადაწყვეტილების თარიღი	
ტექსტი		
ძიება	გასუფთავება	

სურათი 17: საქმისწარმოების სისტემის პლატფორმაზე სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა.

პორტალის საძიებო სისტემის შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტილებების ტექსტების მხოლოდ თარიღის მითითებით ძიება შეუძლებელია. რაც შეეხება ძიების შედეგად ნაჩვენებ დოკუმენტებს, სამივე ტიპის საქმეთა შემთხვევაში, მომხმარებელს არ შეუძლია სასურველი დოკუმენტის ონლაინ გაცნობა, რადგან შესაბამისი საქმეზე კურსორის დაჭერისას, ავტომატურად ირთვება დოკუმენტის გადმოწერის ფუნქცია. დოკუმენტის ახალ ფანჯარაში გახსნის მცდელობისას კი მომხმარებელს უჩვენებს, რომ გადაწყვეტილება ვერ მოიძებნა (იხ. სურათი #18). შესაბამისად, გადაწყვეტილებები გამოქვეყნებული არ არის ღია ფორმატში და განთავსებულია მხოლოდ მათი PDF ვერსია, მისი პორტალზე გაცნობის შესაძლებლობის გარეშე.



სურათი 18: საქმისწარმოების სისტემის პლატფორმაზე გადაწყვეტილების ახალ ფანჯარაში გახსნისას ნაჩვენები გვერდი

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის სექტემბერში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესის მიხედვით, ამავე პლატფორმაზე იგეგმება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებაც.

საქართველოში არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად და სასამართლო გადაწყვეტილებების პლატფორმის კონცეფციის განვითარების მიზნით, კვლევის შემდეგ თავი მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების სტანდარტებსა და მსგავსი პლატფორმების სტრუქტურას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო


ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდის⁴ პირველივე გვერდზე განთავსებულია დოკუმენტების განყოფილება (HUDOC-ის მონაცემთა ბაზა), სადაც ცალკეულ საქმეთა გადაწყვეტილებებია ხელმისაწვდომი. სასურველი დოკუმენტის გასაცნობად მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს ფილტრი, რომელიც გადაწყვეტილებებს ჰყოფს საქმეთა განმხილველი სასამართლო ორგანოების დასახელების და დოკუმენტების ტიპების (გადაწყვეტილებები, ანგარიშები, საკონსულტაციო მოსაზრებები, რეზოლუციები და ა.შ.) მიხედვით (იხ. სურათი #19).



სურათი 19: HUDOC-ის მონაცემთა ბაზის ფილტრი

დოკუმენტის ტიპის ფილტრის გარდა არსებობს ენების, სახელმწიფოთა, მუხლების (საქმეთა საკითხი), თარიღის, სასამართლოთა, მოსამართლეთა, წარმდგენ პირთა/ორგანიზაციათა (Originating Body) (მაგ, PACE, Human Rights Watch) ფილტრები. თითოეული ტიპის კატეგორიის (ფილტრის) შემთხვევაში მითითებულია, თუ რამდენი გადაწყვეტილებაა გამოქვეყნებული აღნიშნულ კატეგორიაში და შესაძლებელია სასურველის მონიშვნა (იხ. სურათი #20).


⁴ ადამიანის ევროპული სასამართლოს ვებგვერდი: <http://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=home&c=>



სურათი 20: HUDOC-ის ფილტრები

ფილტრების გარდა, ვებგვერდზე არსებობს გაფართოებული საძიებო სისტემა, რომელშიც ქვემოთ ჩამოთვლილი პარამეტრებიდან ერთ-ერთის მითითებაც არის საკმარისი:

- საძიებო სიტყვა ტექსტში;
- საქმის სათაური;
- საქმის ნომერი;
- შედეგი/დასკვნები;
- გადაწყვეტილების ნომერი;
- მუხლი;
- თარიღი (იხ. სურათი #21).



სურათი 21: HUDOC-ის გაფართოებული საძიებო სისტემა

სასურველი ტიპის გადაწყვეტილების მონიშვნის შედეგად გამოტანილი საქმეების შესახებ შემდეგი ინფორმაციაა მოცემული:

- საქმის დასახელება - მხარეთა სახელების მითითებით;
- საქმის ნომერი;
- დოკუმენტის ტიპი;
- სასამართლოს პალატა/შემადგენლობა;
- თარიღი;
- საქმის არსი - მუხლის მითითებით (იხ. სურათი #22).

The screenshot shows a search results page with 51373 results found. It includes options for Print, Export, and RSS, and a 'Sort by: Relevance' dropdown. The search criteria are set to 'Document Collection: Grand Chamber, Chambe...'. Three cases are listed:

- new CASE OF KHAN v. GERMANY**
38030/12 | Available in English, French | Judgment (Struck out of the List) | Court (Grand Chamber) | 21/09/2016
Struck out of the list (Article 37-1 - Striking out applications Article 37-1-c - Continued examination not justified)
Case Details Legal Summary Language Versions Press Release Related
- new AFFAIRE KHAN c. ALLEMAGNE**
38030/12 | Available in English, French | Judgment (Struck out of the List) | Court (Grand Chamber) | 21/09/2016
Radiation du rôle (Article 37-1 - Radiation du rôle Article 37-1-c - Poursuite de l'examen non justifiée)
Case Details Language Versions Press Release Related
- new CASE OF KARELIN v. RUSSIA**
926/08 | Available only in English | Judgment (Merits and Just Satisfaction) | Court (Third Section) | 20/09/2016
Violation of Article 6 - Right to a fair trial (Article 6 - Administrative proceedings Article 6-1 - Impartial tribunal) Non-... more...
Case Details Press Release Related

სურათი 22: HUDOC-ის გაფართოებული საძიებო სისტემაში ძიების შედეგები.


მოძებნილი ინფორმაციის გადმოწერა/ექსპორტი ღია ფორმატშია (Excel და CSV) შესაძლებელი. შესაბამისად, მომხმარებელს ფილტრების მიხედვით მოძებნილი ინფორმაციის გადამუშავების, და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით სასურველი სტატისტიკური ანალიზის გაკეთების შესაძლებლობა ეძლევა (იხ. სურათი #23).

The screenshot shows a search results page with 2 results found. An 'Export Options' dialog box is open, showing 'CSV' and 'Excel' options. A note states: 'Note: Only a maximum of 500 results can be exported'. The search criteria are set to 'Document Colle...'. Two cases are visible:

- new CASE OF ENUKIDZE AND GIRGVLIANI v. GEORGIA**
25091/07 | Available in English, Armenian, 1 mor... | Judgment (Merits and Just Satisfaction) | Court (Second Section) | 26/04/2011
Remainder inadmissible Violation of Art. 2 (procedural aspect) No violation of Art. 2 (substantive aspect) Violation of Art. ... more...
Case Details Legal Summary Language Versions Press Release Webcast Related
- new CASE OF MUMLADZE v. GEORGIA**
30097/03 | Available in English, Georgian | Judgment (Merits) | Court (Second Section) | 08/01/2008
No violation of Art. 6-1
Case Details Language Versions Press Release Related

სურათი 23: HUDOC-ის გაფართოებული საძიებო სისტემის შედეგების ექსპორტის შესაძლებლობა.

- თითოეული გადაწყვეტილების ტექსტი ღია ფორმატშია მოცემული, ხოლო ტექსტის თავში გადაწყვეტილების ზუსტი ბმულია განთავსებული. შესაძლებელია ტექსტის სასურველ ზომაში დათვალიერება, ელ-ფოსტაზე გაგზავნა, ამობეჭდვა და PDF და Word-ის ფორმატებში გადმოტვირთვა (იხ. სურათი #24).



სურათი 24: HUDOC-ის მონაცემთა ბაზაზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები.

მთლიან ტექსტთან ერთად, მოცემულია საქმის ძირითადი დეტალებიც: 1. განმცხადებელი (Originating body); 2. დოკუმენტის ტიპი; 3. სათაური; 4. საქმის ნომერი; 5. წარმომადგენელი; 6. მოპასუხე მხარე; 7. გადაწყვეტილების თარიღი; 8. დასკვნები/შედეგი; 9. საქმის თემატიკა/მუხლები; 10. განსხვავებული აზრი (არსებობის შემთხვევაში); 11. საკვანძო სიტყვები/საკითხები (იხ. სურათი #25).

View	Case Details	Language Versions	Related
Originating Body	Court (First Section)		
Document Type	Judgment (Merits and Just Satisfaction)		
Language(s)	English		
Title	CASE OF SIMON PRICE v. THE UNITED KINGDOM		
App. No(s)	15602/07		
Importance Level	3		
Represented by	GOLDKORNS SOLICITORS		
Respondent State(s)	United Kingdom		
Judgment Date	15/09/2016		
Conclusion(s)	No violation of Article 6 - Right to a fair trial (Article 6 - Criminal proceedings Article 6-1 - Fair hearing Adversarial trial Equality of arms) read in the light of Article 6 - (Art. 6) Right to a fair trial (Article 6-3-d - Examination of witnesses Obtain attendance of witnesses)		
Article(s)	6 6-1 6-3-d		
Separate Opinion(s)	No		
Keywords	(Art. 6) Right to a fair trial (Art. 6) Criminal proceedings (Art. 6-1) Fair hearing (Art. 6-1) Adversarial trial (Art. 6-1) Equality of arms (Art. 6-3-D) Examination of witnesses (Art. 6-3-d) Obtain attendance of witnesses		


სურათი 25: HUDOC-ის მონაცემთა ბაზაზე ცალკეული საქმის შესახებ გამოქვეყნებული დეტალები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვებგვერდზე ცალკე განყოფილებაში თითოეულ საქმესთან დაკავშირებით არსებული სხვა ტიპის ინფორმაციის (პრეს რელიზი, მოსაზრება და ა.შ) ჩამონათვალია გამოქვეყნებული. შესაბამის ბმულზე გადასვლით, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ სხვადასხვა ინფორმაციას ადგილზევე გაეცნონ (იხ. სურათი #26).

Related English Documents	
Communicated Cases	PRICE v. THE UNITED KINGDOM
Press Releases	
Judgments and decisions of 15.09.16	
Forthcoming judgments and decisions 13-15.09.16	
Related French Documents	
Chamber Judgments	AFFAIRE SIMON PRICE c. ROYAUME-UNI
Press Releases	
Arrêts et décisions du 15.09.16	
Annonce d'arrêts et décisions 13-15.09.16	

სურათი 26: თითოეული საქმის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

შექმნილია სპეციალური განყოფილება, სადაც სასამართლო სხდომების ვიდეო ჩანაწერებია გამოქვეყნებული. სხდომები დალაგებულია წლების, ქვეყნებისა და სასამართლოს პალატების მიხედვით. სასურველი სასამართლო პროცესის ჩანაწერის ნახვა შესაძლებელია საძიებო სიტყვის, სათაურისა და ზუსტი თარიღის მითითებით (იხ. სურათი #27).



სურათი 27: სასამართლო სხდომების სპეციალური განყოფილება.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვებგვერდზე ასევე სტატისტიკის განყოფილება მოქმედებს, სადაც წლების, თემატიკისა და ქვეყნების მიხედვით სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა შესახებ ინფორმაციაა მოცემული.

მაგალითისთვის, ვებგვერდზე ქვეყნდება, თუ რამდენი განცხადება შევიდა სასამართლოში, რამდენზე მიიღეს გადაწყვეტილება, რამდენი ცნეს დაუშვებლად და რამდენზე მიმდინარეობს განხილვა (იხ. სურათი #28).

1. Applications allocated to a judicial formation [round figures (50)]	2016	2015	+/-
Applications allocated	32700	27300	20%
2. Interim procedural events			
Applications communicated to respondent Government	6031	9503	-37%
3. Applications decided			
By decision or judgment	20972	27816	-25%
- by judgment delivered	1213	1892	-36%
- by decision (inadmissible or struck out)	19759	25924	-24%
4. Pending applications [round figures (50)]			
Applications pending before a judicial formation	76600	64850	18%
- Chamber and Grand Chamber	28150	27200	3%
- Committee	40200	34500	17%
- Single-Judge formation	8250	3150	162%

სურათი 28: სტატისტიკის მოდული.

ამასთან, წლების მიხედვით ნაჩვენებია ცალკეული ქვეყნის მიერ ადამიანის ძირითადი უფლებისა თუ თავისუფლების დაარღვევასთან დაკავშირებით არსებული მონაცემები (იხ. სურათი #29):

		EUROPEAN COUR EUROPÉE																											
		Total number of judgments	Friendly settlements/ Judgments finding no violation	Friendly settlements/ Judgments finding at least one violation	Other judgments*	Right to life – deprivation of life	Lack of effective investigation	Inhuman or degrading treatment	Lack of effective investigation	Conditional investigation	Prohibition of slavery/forced labour	Right to liberty and security	Right to a fair trial†	Length of proceedings	Non-enforcement	Right to respect for private and family life	Freedom of thought, conscience and religion	Freedom of assembly and association	Freedom of expression	Right to marry	Right to an effective remedy	Prohibition of discrimination	Protection of property	Right to education	Right to free elections	Right not to be tried or punished twice	Other Articles of the Convention		
2015	Total	Total	Total	Total	Total	1	2	2	3	3	3	3	4	5	6	6	6	7	8	9	10	11	12	13	14	P1-1	P1-2	P1-3	P1-4
Albania	7	7												2		1	5						4		5				
Andorra	0																												
Armenia	8	8								2	1			1	5				1		1		2		2				
Austria	8	5	2		1									1	1	2			1				1						
Azerbaijan	19	19								1	4			7	2				2		2		1		3		6		2
Belgium	15	11	1	1						3	1	1		3	5								2						
Bosnia and Herzegovina	3	2	1											1		1									1				
Bulgaria	32	28	2		2			2	1	10	5			3	5		3		3	2	1		9		6		2		
Croatia	25	17	8					1		2	3			4	5			6							2				
Cyprus	6	5			1									8	1								1		1				
Czech Republic	4		2	2																									
Denmark	0																												
Estonia	5	3	2											2	1			1					1		1				
Finland	7	5	2													1						1							3

სურათი29: სტატისტიკის მოდული

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლო გადაწყვეტილებათა ელექტრონული ხელმისაწვდომობისთვის ფედერალური სასამართლოების პლატფორმა "PACER" არსებობს. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით შესაძლებელია სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოთა (აშშ-ს საოლქო, სააპელაციო და გაკოტრების საქმეთა (bankruptcy) სასამართლოების) მიერ განხილული საქმეების შესახებ ინფორმაციის ნახვა. პლატფორმაზე სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით შემდეგი ტიპის ინფორმაცია ქვეყნდება:

- მხარეთა ჩამონათვალი, მათ შორის მოსამართლეები, იურიდიული წარმომადგენლები (attorneys), რწმუნებულები (trustees);
- საქმის დეტალები - საქმის არსი, საქმის ნომერი;
- საქმის მიმდინარეობა - საქმესთან დაკავშირებული სხდომები/ლონისძიებები ქრონოლოგიურად;
- სარჩელთა რეესტრი (claims registry);
- სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებები/გადაწყვეტილებები (opinions);
- გადაწყვეტილებები ან საქმის სტატუსი;
- საქმესთან დაკავშირებით მხარეთა მიერ წარდგენილი დოკუმენტების სახეობები (ბევრი სასამართლო აქვეყნებს დოკუმენტების დასკანერებულ ვერსიებს);
- სხდომათა აუდიო ჩანაწერები.

პლატფორმაზე ცალკეულ საქმეთა გადაწყვეტილებების ზოგადი და გაფართოებული საძიებო სისტემები არსებობს. გადაწყვეტილებების მოძიება ასევე შესაძლებელია სასამართლოთა და საქმეთა სახეობების მიხედვით (საქალაქო (district), სააპელაციო, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, გაკოტრების საქმეები (bankruptcy)) (იხ. სურათი #30). გადაწყვეტილებების ძიება შესაძლებელია საქმეთა ტიპის არჩევის გარეშეც.



სურათი 30: სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა

ყველა ინსტანციის სასამართლოს საძიებო სისტემის გამოყენებისას სასურველი გადაწყვეტილების მოძებნა შემდეგი ინფორმაციის მითითებით არის შესაძლებელი:

1. რეგიონი - რუკაზე ცალკეული რეგიონის შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს არჩევა (იხ. სურათი #31);



სურათი 31: რეგიონების მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილებების ძიება.

2. საქმის ნომერი;
3. საქმის დასახელება;
4. საქმის წარმოებაში მიღებისა და დასრულების თარიღები (იხ. სურათი #32); 5. მხარეთა სახელები.



სურათი 32: სასამართლო გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემა.

აღნიშნული შესავსები ველები ყველა ტიპის საქმეების საძიებო სისტემაშია მოცემული. თუმცა ზოგიერთი ტიპის საქმეებზე დამატებით შესავსები ველებიც გვხვდება. მაგალითად, სააპელაციო და სამოქალაქო საქმეების შემთხვევაში, დამატებულია სასამართლო დავის სახეობის მითითების ველი (იხ. სურათი #33). ამ შემთხვევაში მომხმარებლისთვის მოცემულია ასარჩევი ვარიანტები.



The image shows a web-based search interface for legal cases. At the top, there are tabs for different court types: 'All Courts', 'Appellate', 'Bankruptcy', 'Civil', 'Criminal', and 'Multi-District Litigation'. Below these is a 'Case Search' section with a 'Basic Search' sub-section. The search fields include: 'Region' (a dropdown menu with 'Select region' and a 'Map' button), 'Case Number', 'Case Title', 'Nature of Suit' (a dropdown menu with 'Select Nature of Suit', highlighted with a red box), 'Date Filed' (two date pickers), and 'Date Closed' (two date pickers). Below the search fields is a 'Party Search' section.

სურათი 33: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა.


აღსანიშნავია, რომ გაკოტრების საქმეების (bankruptcy) შემთხვევაში შემდეგი შესავსები ველებია დამატებული:

- კანონის თავი/მუხლი (chapter);
- მხარეთა საიდენტიფიკაციო ნომერი/სოციალური უსაფრთხოების ნომერი (Social Security number)
- მხარეთა საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი (federal tax ID for the party) (იხ. სურათი #34).



სურათი 34: სასამართლო გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემა.

მომხმარებელს მოძიებულ დოკუმენტებში სასურველი გადაწყვეტილების პოვნა ძიების შედეგების გაფილტვრით შეუძლია. ძიების შედეგის ფილტრი მომხმარებელს საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების წელი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ან/და საქმის ტიპი აირჩიოს (იხ. სურათი #35).



სურათი 35: ძიების შედეგის გაფილტვრის ნიმუში.

სასურველი გადაწყვეტილების მოძიების შემდეგ შესაძლებელია გადაწყვეტილების სრული ტექსტის გაცნობა და სასურველ ფორმატში გადმოტვირთვა (XML, Text ან CSV).

რაც შეეხება პერსონალურ ინფორმაციას, საბოლოო გადაწყვეტილებაში შემდეგი ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნებაა აკრძალული: საიდენტიფიკაციო ნომერი, საბანკო ანგარიშის ნომერი, არასრულწლოვანის სახელი, დაბადების თარიღი და საცხოვრებლის მისამართები (ეს უკანასკნელი სისხლის სამართლის საქმეებზე ვრცელდება).

სტატისტიკის მოდული

აშშ-ის სასამართლო გადაწყვეტილებების პლატფორმაზე აგრეთვე ქვეყნდება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ განხორციელებულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშები ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოთა ერთიან ვებგვერდზე პროაქტიულად ქვეყნდება.⁵ სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებული სასურველი ანგარიშის მოსაძიებლად მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს სასამართლოს დასახელება (ჩამოთვლილია ასარჩევი ვარიანტები), წელი და საანგარიშო პერიოდი (კვარტალი) (იხ. სურათი #36).

Table Number	Reporting Period	Publication Name	Download PDF
C-4	September 30, 2015	Judicial Business	Download (PDF 120.75 KB)
H-14A	September 30, 2015	Judicial Business	Download (PDF 90.7 KB)

სურათი 36: სტატისტიკური ანგარიშების საძიებო სისტემა.

სტატისტიკურ ანგარიშში თავმოყრილია ინფორმაცია თითოეულ სასამართლოში კვარტალურად შემოსული საქმეების რაოდენობის შესახებ (სტატისტიკა ჩაშლილია საქმეთა ტიპის მიხედვითაც), აგრეთვე მოცემულია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი საქმე განიხილა სასამართლომ, ამ საქმეთაგან რამდენი დაკმაყოფილდა, რამდენ საქმეზე მიიღეს გადაწყვეტილება, თუ რამდენია ჯერ კიდევ განხილვის პროცესში. ასევე, სტატისტიკურ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული სასამართლოს მიერ განხილვის დაწყებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე ცალკეულ საქმეზე დახარჯული დრო. ასევე, მოცემულია იმ საქმეთა რაოდენობა და პროცენტული წილი, რომელთა განხილვაც სამ წელზე მეტი ხანია რაც მიმდინარეობს. ასევე აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურ ანგარიშში ცალკეულ საქმეზე სხვადასხვა პერიოდში არსებულ მოპასუხეთა რაოდენობაა მოცემული (იხ. სურათი #37).

⁵ შეერთებული შტატების სასამართლოთა ვებგვერდი: <http://www.uscourts.gov/>

		Jun 30 2011	Jun 30 2012	Jun 30 2013	Jun 30 2014	Jun 30 2015	Jun 30 2016	Numerical Standing Within		
Overall Caseload Statistics	Filings ¹	3,249	2,868	2,866	2,747	2,554	3,134			
	Terminations	3,064	3,110	2,968	2,639	2,620	2,636			
	Pending	4,615	3,666	3,297	3,365	3,276	3,767			
	Percent Change in Total Filings Current Year Over Earlier Year	-3.5	9.3	16.7	14.1	22.7		11	-	
Number of Judgeships		15	15	15	15	15	15			
Vacant Judgeship Months ²		33.2	16.1	20.6	38.7	13.4	13.8			
Actions per Judgeship	Filings	Total	217	191	179	183	170	209	91	-
		Civil	188	150	138	148	146	181	87	-
		Criminal Felony	35	31	30	28	15	20	94	-
		Supervised Release Hearings	13	11	11	8	9	8	87	-
	Pending Cases	308	244	220	224	218	251	87	-	
	Weighted Filings ²	219	205	186	198	177	227	88	-	
	Terminations	204	207	198	176	175	176	91	-	
	Trials Completed	11	9	9	6	7	6	92	-	
Median Time (Months)	From Filing to Disposition	Criminal Felony	11.4	12.9	14.2	12.0	11.9	17.1	89	-
		Civil ²	6.6	9.2	9.0	7.6	8.2	8.0	26	-
	From Filing to Trial ² (Civil Only)	38.2	32.3	40.3	39.8	45.1	40.2	59	-	
Other	Number (and %) of Civil Cases Over 3 Years Old ²		476 17.1	470 18.1	392 17.2	389 18.0	368 15.1	369 12.5	74	-
	Average Number of Felony Defendants Filed per Case		1.5	1.5	1.5	1.5	1.3	1.4		
	Jurors	Avg. Present for Jury Selection	66.3	73.8	82.8	71.5	49.1	55.1		
		Percent Not Selected or Challenged	58.8	52.9	55.1	47.5	42.8	47.7		

2016 Civil Case and Criminal Felony Defendant Filings by Nature of Suit and Offense													
Type of	Total	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L
Civil	2,719	44	41	458	9	23	171	214	303	37	492	134	793

სურათი 37: ერთი-ერთი სტატისტიკური ინგარიში

თითოეული სასამართლოს შემთხვევაში მოცემულია სტატისტიკა ამ სასამართლოს მიერ განხილული საკითხების თემატიკის მიხედვით (იხ. სურათი #38).

Table C-2. U.S. District Courts—Civil Cases Commenced, by Basis of Jurisdiction and Nature of Suit, During the 12-Month Periods Ending March 31, 2015 and 2016

Nature of Suit	2015	Total	2016				
			U.S. Cases		Private Cases		
[1] L'appelant se pourvoit contre un jugement rendu le 11 décembre 2013 par la Cour du Québec, chambre criminelle et pénale, district de Montréal (l'honorable Denis Mondor), qui le déclare coupable d'un chef d'accusation d'incitation à des contacts sexuels sur un enfant de moins de seize (16) ans, aux termes

სურათი 69: კვებეკის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოწერაც (იხ. სურათი #73):

The RSS feeds of the Court of Appeal allow you to be informed of any recent updates.

 [Subscribe to RSS feed judgments](#)

An RSS feed allows you to keep up to date with any recent updates published on a website. By subscribing to our RSS feed, you will automatically receive the latest news related to your RSS feed and view them at any time.

სურათი 70: კვებეკის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოწერის შესაძლებლობა.

კანადის სასამართლო პორტალი

კანადის ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ვერსიის სანახავად გამოიყენება იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილი პლატფორმა სახელწოდებით SOQUIJ.¹²

სასურველ გადაწყვეტილებაზე ინფორმაციის სანახავად, მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს შემდეგი პარამეტრებიდან ერთ-ერთი:

- სასამართლოს დასახელება (მოცემულია ყველა ინსტანციის სასამართლოს დასახელება ასარჩევად);
- საძიებო სიტყვა;
- პროცესის მონაწილე მხარეთა სახელი,
- მოსამართლე;
- გადაწყვეტილების ნომერი;
- თარიღი (იხ. სურათი #74).

The screenshot shows the SOQUIJ search interface. On the left, there is a navigation menu with options like 'Décisions à la une', 'Trouver une décision', 'Aide à la recherche et soutien technique', 'Décisions publiées sur ce site', 'Décisions en attente de publication', 'Délai de mise en ligne des décisions', 'Translated decisions', 'Trouver une loi', 'Trouver une ressource juridique', 'Communiquer avec nous', and 'FAQ'. Below the menu are sections for 'SERVICES AUX PROFESSIONNELS' and 'SERVICES AUX ÉTUDIANTS ET PROFESSEURS'. The main content area has a header with instructions: 'Vous pouvez trouver une décision de deux façons : 1) En faisant une recherche par mots clés; ou 2) En consultant la liste de décisions rendues par mois.' Below this, there are two search options: 'Rechercher une décision par mots clés' and 'Décisions rendues par mois'. The 'Rechercher une décision par mots clés' section has a dropdown menu for 'Tribunal ou organisme' with a 'Disponibilité' link. The dropdown menu is open, showing a list of courts and tribunals: 'Tous', 'Cour suprême du Canada', 'Cour d'appel fédérale et Cour fédérale', 'Cour d'appel du Québec', 'Cour supérieure', 'Cour du Québec', 'Chambre civile (CQ)', 'Chambre criminelle et pénale (CQ)', 'Chambre de la jeunesse (CQ)', 'Division administrative et d'appel (CQ)', 'Division des petites créances (CQ)', 'Cour canadienne de l'impôt', 'Cours municipales', 'Tribunal des droits de la personne (TDP)', 'Tribunal des professions (TP)', 'Tribunal du travail (TT)', 'Comité de déontologie policière (CDP)', and 'Comité de discipline de la Chambre de l'assurance de dommages (CDCHAD)'. The 'Décisions rendues par mois' section has a dropdown menu for 'Tribunal ou organisme' with 'Cour suprême du Canada' selected.

სურათი 71: კანადის სასამართლოთა პლატფორმის საძიებო სისტემა.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მოძებნა შესაძლებელია არამხოლოდ თარიღის და სასამართლოს დასახელების, არამედ მოსამართლისა და საქმის მხარეების მიხედვით (იხ. სურათი #75).

¹² პლატფორმის ბმული: <http://citoyens.soquij.qc.ca/>

Trouver une décision

Vous pouvez trouver une décision de deux façons : 1) En faisant une recherche par mots clés; ou 2) En consultant la liste de décisions rendues par mois.

Pour les recherches par mots clés, vous pouvez utiliser les opérateurs ET, OU et NON. Au besoin, consultez [Aide à la recherche et soutien technique](#).

Rechercher une décision par mots clés	Décisions rendues par mois
Tribunal ou organisme Disponibilité  <input type="text" value="Tous"/>	Tribunal ou organisme <input type="text" value="Cour suprême du Canada"/>
Type de recherche <input alimentaire\")"="" pension="" type="text" value="plein texte (Ex. : \"/>	Année <input type="text" value="2016"/>
Mots clés (requis) Aide  <input type="text"/>	Mois <input type="text" value="septembre"/>
Date de la décision (AAAAMMJJ) Entre le <input type="text"/> et le <input type="text"/>	Tri des résultats : <input checked="" type="radio"/> Date <input type="radio"/> Noms
Tri des résultats : <input checked="" type="radio"/> Pertinence <input type="radio"/> Date	<input type="button" value="Afficher la liste"/>
<input type="button" value="Rechercher"/>	

სურათი 72: კანადის სასამართლოთა პლატფორმის საძიებო სისტემა.

თითოეული ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მოძებნა თარიღების მიხედვითაც არის შესაძლებელი. ამისთვის მომხმარებელმა უნდა მიუთითოს/შეარჩიოს სასურველი სასამართლოს დასახელება, წელი და თვე.

თითოეული გადაწყვეტილების ტექსტი გამოქვეყნებულია ღია, HTML ფორმატში და შესაძლებელია მისი Word-ის ვერსიის გადმოწერა.

საინტერესოა, რომ პლატფორმაზე არსებობს სპეციალური განყოფილება, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ახლო მომავალში გამოსაქვეყნებელი გადაწყვეტილებების შესახებ. ეს ძირითადად ეხება სისხლის სამართლის საქმეებს. თითოეული საქმის შემთხვევაში მოცემულია მხარეთა სახელები, საქმის ნომერი, სასამართლოს დასახელება და საქმის წარმოების დაწყების თარიღი (იხ. სურათი #76).

Parts	Dated	Jurisdiction	No record	Reference
Haviaropoulos v. United States of America	2016-07-29	CS	500-36-007998-167	2016 QCCS 3957
Director of Criminal and Penal Prosecutions v. Water Blasting & Vacuum Services Inc.	2016-07-12	CQ	250-61-048346-145	2016 QCCQ 8888
Lahache c. R.	2016-07-06	CS	505-36-001834-151	2016 QCCS 3420
Director of Criminal and Penal Prosecutions of Quebec v. Nicolo	2016-06-28	CS	500-36-008075-163	2016 QCCS 3419
R. v. Walsh	2016-06-21	CQ	460-01-029479-155	2016 QCCQ 6137
R. v. Cosentino	2016-06-21	CQ	500-01-083177-128	2016 QCCQ 6139
Director of Criminal and Penal Prosecutions v. Sheriff of the Criminal and Penal Division	2016-06-13	CS	700-26-020291-134, 700-	2016 QCCS 3155

სურათი 73: ახლო მომავალში გამოსაქვეყნებელი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია.

სამოქალაქო ინიციატივა სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ

კანადაში ყველა სასამართლო გადაწყვეტილება ღია ფორმატში ქვეყნდება, შესაბამისად, ნებისმიერი მხარისთვის ადვილია მთლიანი ტექსტის დამუშავება და სასურველი ინფორმაციის გამოყენება. ამის შედეგად, კანადის ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, „კანადის იურიდიული ინფორმაციის ინსტიტუტმა“ (The Canadian Legal Information Institute) შექმნა ერთიანი პლატფორმა,¹³ სადაც პირველი ინსტანციის, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ასევე სხვა მნიშვნელოვანი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები ქვეყნდება. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ვებგვერდი, გადაწყვეტილებების გაზიარებისა და სტატისტიკური მონაცემების გაცნობის თვალსაზრისით, მომხმარებელს დამატებით ფუნქციებსაც სთავაზობს.

ონლაინ პორტალზე თითოეული გადაწყვეტილება ღია, HTML ფორმატშია გამოქვეყნებული. ასევე შესაძლებელია საქმის PDF ფორმატში გადმოტვირთვა და ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნა. ვებგვერდი ინტეგრირებულია სოციალურ ქსელებთან და გადაწყვეტილების გაზიარება სხვადასხვა სოციალურ ქსელში (Twitter, LinkedIn) პირდაპირ არის შესაძლებელი (იხ. სურათი #77).

სურათი 74: პორტალზე გამოქვეყნებული სასამართლოს გადაწყვეტილება.

¹³ პლატფორმის ბმული: <http://www.canlii.org/en/>

Cited by 3 documents [Show headnotes](#) PDF Email Tweet Share

Alberta Court of Queen's Bench
R. v. Annas
Date: 1985-01-02
L. N. Hiller, for appellant.
E. Nash, for the Crown.

(Edmonton No. 8403-0076-S6)

January 2, 1985.

[1] WACHOWICH J.:— The appellant was convicted for carelessly storing a rifle contrary to s. 84(2). The trial judge ordered forfeiture of the rifle pursuant to s. 446.1. It is this disposition that he appeals.

[2] The relevant sections of the [Criminal Code](#) are:

84.(1) ...

(2) Every one who, without lawful excuse, uses, carries, handles, ships or stores any firearm or ammunition in a careless manner or without reasonable precautions for the safety of other persons

(a) is guilty of an indictable offence and is liable to imprisonment (i) in the case of a first offence, for two years, and (ii) in the case of a second or subsequent offence, for five years; or

(b) is guilty of an offence punishable on summary conviction.

446.1(1) Where it is determined by a court that a weapon was used in the commission of an offence and that weapon has been seized and detained, the weapon is, subject to subsection (2), forfeited and may be dealt with as the court that makes the determination directs.

თითოეულ გადაწყვეტილებაზე მოცემულია შემდეგი მონაცემები: გადაწყვეტილების სათაური, თარიღი, საქმის ნომერი და დოკუმენტის გამოყენების შემთხვევაში, მითითებულია ამ დოკუმენტის წყარო (იხ. სურათი #78).

R. v. Annas, 1985 CanLII 1140 (AB QB)

Date: 1985-01-02
Docket: 8403-0076-S6
Other citations: 36 Alta LR (2d) 55; 60 AR 136; 17 CCC (3d) 383
Citation: R. v. Annas, 1985 CanLII 1140 (AB QB), <<http://canlii.ca/t/27t5p>>, retrieved on 2016-09-06

Cited by 3 documents [Show headnotes](#)

სურათი 75: პორტალზე გამოქვეყნებული სასამართლოს გადაწყვეტილება.

ამასთან, თითოეული საქმის შემთხვევაში, ცალკე გამოტანილია ყველა ის სასამართლო საქმე, რომელიც ნახსენები ან ციტირებულია გადაწყვეტილებაში. მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა გადაწყვეტილებაში ნახსენებ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებსაც გაეცნოს (იხ. სურათი #79).

Citing

or

All CanLII (14) Cases (14) Legislation (0) Commentary (0)

All jurisdictions By Relevance

- Little v. Chignecto**, 2004 NSSC 265 (CanLII) — 2004-12-16
 Supreme Court of Nova Scotia — Nova Scotia
costs — photocopying — amount involved — proceeding — disbursements

[...] See *Annand v. Cox Enterprises (1992)*, **1992 CanLII 4666 (NS SC)**, 111 N.S.R. (2d) 196, where the Defendant made an offer to settle two days before trial which matched the eventual judgment and warranted some consideration in costs. [...]

cited by [12 documents](#) [CanLII Connects](#)
- Willis v. Bernard L. Mailman Projects Limited**, 2008 NSSC 94 (CanLII) — 2008-04-02
 Supreme Court of Nova Scotia — Nova Scotia
costs — offers — award — pre-judgment interest — amount

[...] Goodfellow, J. in *Annand v. Cox (Peter M.) Enterprises Ltd. (1992)*, **1992 CanLII 4666 (NS SC)**, 111 N.S.R. (2d) 196, 1992 CarswellNS 367 (N.S.S.C.) said at para. 50: [...]

cited by [8 documents](#) [CanLII Connects](#)
- Wilson v. Sobeys Inc.**, 1996 CanLII 5323 (NS SC) — 1996-11-21
 Supreme Court of Nova Scotia — Nova Scotia
employment — pilot — training — probationary employee — contract

Activate Win

სურათი 76: პორტალზე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში ციტირებული საქმეები.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების მოძებნა მარტივადაა შესაძლებელი, რადგანაც საძიებო სისტემა პირველივე გვერდზეა განთავსებული. სასურველი ინფორმაციის სანახავად მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს: 1. საძიებო სიტყვა/ფრაზა ტექსტში; 2. დოკუმენტის ტიპი; და 3. გადაწყვეტილების სათაური ან რეკვიზიტები (იხ. სურათი #80).

Search

სურათი 77: პორტალის საძიებო სისტემა

მომხმარებლისთვის სასურველი ინფორმაციის მოძიება გამარტივებულია რეგიონების მიხედვითაც. კერძოდ, ვებგვერდის პირველივე გვერდზე სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოტანილია ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. თითოეული რეგიონის შემთხვევაში, გადაწყვეტილებები დაყოფილია რამდენიმე კატეგორიად:

- კანონმდებლობა (საკანონმდებლო აქტები და რეგულაციები);
- სასამართლოს გადაწყვეტილებები (პირველი ინსტანციის, სააპელაციო, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები),
- კომიტეტები/საბჭოები და ტრიბუნალები (ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ორგანოების მიერ გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები) (იხ. სურათი #81).

თითოეულ კატეგორიაში შემავალ დოკუმენტებზე მოცემულია ინფორმაცია იმის
თაობაზე, თუ რომელი წლიდან ხდება მსგავსი ტიპის დოკუმენტების გამოქვეყნება,
აგრეთვე როდის

განხორციელდა ამ დოკუმენტებთან დაკავშირებული ინფორმაციის ბოლო განახლება და აქამდე რამდენი მსგავსი გადაწყვეტილება / სამართლებრივი აქტი გამოქვეყნებულა მონაცემთა ბაზაში (იხ. სურათი #81).

Courts 		Continuous coverage	Last update	Number of decisions
BCCA	Court of Appeal	1990 -	2016-09-01	19,881
BCSC	Supreme Court of British Columbia	1990 -	2016-09-02	54,676
BCPC	Provincial Court of British Columbia	2000 -	2016-09-02	8,269

Boards and Tribunals 		Continuous coverage	Last update	Number of decisions
BCHRT	British Columbia Human Rights Tribunal	2008 -	2016-09-02	2,971
BCSEC	British Columbia Securities Commission	2004 -	2016-08-29	7,470
BCWCAT	British Columbia Workers' Compensation Appeal Tribunal	2008 -	2016-04-07	41,617
BCCDS	College of Dental Surgeons of British Columbia	2015 -	2015-09-25	7
BCCP	College of Pharmacists of British Columbia	2014 -	2014-08-20	2
BCCPS	College of Physicians and Surgeons of British Columbia	2013 -	2016-07-04	20
BCIPC	Information and Privacy Commissioner	1994 -	2016-08-04	1,070
BCLA	Labour Arbitration Awards	N/A	2016-07-28	1,176
BCLRB	Labour Relations Board	2004 -	2016-08-22	5,199
LSBC	Law Society of British Columbia	2003 -	2016-08-04	521
BCREC	Real Estate Council of British Columbia	2009 -	2016-07-26	968

სურათი 78: პორტალზე გამოქვეყნებული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები.

საკანონმდებლო აქტებისა და რეგულაციების კონსოლიდირებული ვარიანტები მათი დასახელების მიხედვით, ანბანური თანმიმდევრობითაა დალაგებული (იხ. სურათი #82).

Consolidated Statutes of British Columbia - Title Beginning with L

Last updated from the BC Laws site on 2016-08-31

[0-9] A B C D E F G H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z

Statutes	Enabled Regulations
Laboratory Services Act, SBC 2014, c 8	1 Regulation
Labour Mobility Act, SBC 2009, c 20	2 Regulations
Labour Relations Code, RSBC 1996, c 244	3 Regulations
Land (Spouse Protection) Act, RSBC 1996, c 246	1 Regulation
Land Act, RSBC 1996, c 245	19 Regulations
Land Reserve Commission Act, SBC 1999, c 14 [Repealed or spent]	
Land Survey Act, RSBC 1996, c 247	1 Regulation
Land Surveyors Act, RSBC 1996, c 248	
Land Tax Deferment Act, RSBC 1996, c 249	17 Regulations
Land Title Act, RSBC 1996, c 250	7 Regulations
Land Title and Survey Authority Act, SBC 2004, c 66	
Land Title Inquiry Act, RSBC 1996, c 251	
Land Transfer Form Act, RSBC 1996, c 252	

სურათი 79: პორტალზე გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტებისა და რეგულაციების კატეგორიზაცია.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებებს, ისინი საძიებო სისტემის გარდა, წლების მიხედვითაც არის დალაგებული, რაც მომხმარებელს ვებგვერდზე სასურველი დოკუმენტის/ინფორმაციის მოძიებას უადვილებს. საგულისხმოა, რომ ვებგვერდს საფუძვლად უდევს კანადის არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კომპიუტერული პროგრამა ღია კოდით (API). შესაბამისად, ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის ადვილია პლატფორმაზე გამოყენებული მონაცემების დამუშავება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ გამოწერის შემთხვევაში, მომხმარებელს განახლებული ინფორმაცია ავტომატურად ეგზავნება (იხ. სურათი #83).

Home Documentation I/O Docs

Docs Navigation

- CanLII API documentation
- Technical guidelines
- legislationBrowse
- caseBrowse
- Search
- caseCitorTease

CanLII API documentation

Getting started

This document describes the specifications of the CanLII API. The API provides access to the metadata of over a million court judgments, tens of thousands of statutes and regulations and covers all the major courts and legislatures, as well as over 150 specialized courts and tribunals.

How it works

Let's dig in the more technical information

- The [technical guidelines](#) provide details about encoding, formats, error management and content negotiation.

The technical guideline will give you detailed information on how to develop your client and interact with the API.

Supported Resources:

Currently, the API supports following services:

- [legislationBrowse](#) : Regulations and statues from all Canadian federal, provincial and territorial jurisdictions,
- [caseBrowse](#) : Judgments from all courts and tribunals accessible on CanLII.

On top of the complete documentation, you can also access directly to the content of the API thanks to the [I/O Docs](#) module (but you will still need an API key to use I/O Docs).

სურათი 80: პლატფორმის API-ის მუშაობის აღწერა

ირლანდია

ირლანდიის ყველა სასამართლო გადაწყვეტილება ერთიან პლატფორმაზეა („ირლანდიის სასამართლოების სერვისი/მომსახურება“) თავმოყრილი. აღნიშნულ პლატფორმაზე სასამართლო სისტემისა და სხვადასხვა მომსახურების შესახებ ამომწურავი ინფორმაციაა მოცემული.¹⁴

All Judgments By Court

Court	Year	Delivery	Date	Title
▶ Central Criminal Court				
▶ Circuit Court				
▶ Court of Appeal				
▶ Court of Criminal Appeal				
▶ Courts-Martial Appeal Court				
▶ District Court				
▶ High Court				
▶ Supreme Court				

სურათი 81: პლატფორმაზე გადაწყვეტილებების კატეგორიზაცია სასამართლოთა მიხედვით.

¹⁴ ირლანდიის სასამართლოების ერთიანი პლატფორმა: <http://www.courts.ie/>

სასამართლოს გადაწყვეტილებები დალაგებულია სასამართლოს ინსტანციებისა და წლების მიხედვით (იხ. სურათი #84). თითოეული გადაწყვეტილების შემთხვევაში მოცემულია საქმის ძირითადი დეტალები: საქმის სათაური, ნომერი, საქმის მიღების თარიღი, სასამართლოს დასახელება, მოსამართლის ვინაობა და გადაწყვეტილება (იხ. სურათი #85).

Ruling

Title: In the matter of Richard Hammond seeking to be appointed a Notary Public

Neutral Citation: [2016] IESC 54

Supreme Court Record Number: 22/2015

Date of Delivery: 09/27/2016

Court: Supreme Court

Composition of Court: Denham C.J.

Ruling by: Denham C.J.

Status: Approved



Result: Appointed


სურათი 82: ირლანდიის სასამართლოების ერთიან პლატფორმაზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების ტექსტში დაშტრიხული არ არის მხარეთა პირადი მონაცემები. თავად ტექსტი კი გამოქვეყნებულია ღია, HTML ფორმატში. პლატფორმაზე განთავსებულია ყველა ინსტანციის, მათ შორის უზენაესი სასამართლოს, გადაწყვეტილებები.

უზენაესი სასამართლოს განმარტებებისთვის ვებგვერდზე ცალკე განყოფილებაა შექმნილი. ამ შემთხვევაშიც მოცემულია საქმის დასახელება (მხარეთა სახელების მითითებით), საქმის ნომერი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, მოსამართლეთა სახელები და შედეგი/საქმის სტატუსი. ამას გარდა, საქმის სრული ტექსტის დასაწყისში მოკლედ მოცემულია მოსარჩელისა და მოპასუხის ვინაობა/დასახელება, საქმის არსი, შედეგი და ძირითადი განმარტება. შესაძლებელია გადაწყვეტილების Word-ის ვერსიის გადმოწერა (იხ. სურათი #86).

Title: Murphy -v- Canada Life Assurance (Ireland) Limited / Irish Life Assurance PLC
 Neutral Citation: [2016] IESCDET 115
 Supreme Court Record Number: S-AP/IE/2016/000077
 Court of Appeal Record Number: A-AP/IE/2015/000457
 High Court Record Number: 2015 No. 845 P
 Date of Determination: 09/26/2016
 Composition of Court: Denham C.J., Dunne J., Charleton J.
 Status: Approved

Supporting Documents:  


THE SUPREME COURT
DETERMINATION

BETWEEN

Damien Murphy
 AND
 Canada Life Assurance (Ireland) Limited / Irish Life Assurance PLC

Plaintiff/Applicant
 Defendant/Respondent

APPLICATION FOR LEAVE TO APPEAL TO WHICH ARTICLE 34.5.3° OF THE CONSTITUTION APPLIES I.E., AN APPLICATION TO APPEAL TO THE SUPREME COURT FROM THE COURT OF APPEAL.
 RESULT: The Court refuses leave to the applicant to appeal to this Court from the Court of Appeal.

სურათი 83: ირლანდიის სასამართლოების ერთიან პლატფორმაზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილების სრული ტექსტი.

გარდა ამისა, არსებობს უმაღლესი სასამართლოს (High Court) ერთიანი საძიებო სისტემა, სადაც სასურველი საქმის შესახებ ინფორმაციის ნახვა შემდეგი დეტალების მითითებით არის შესაძლებელი:

- წელი;
- საქმის ნომერი;
- მოსარჩელის სახელი და გვარი;
- მოპასუხის სახელი და გვარი;
- საქმის ნომერი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში; • სასამართლოს მდებარეობა;
- საქმის თემატიკა;
- თარიღი (იხ. სურათი #87).

The image shows a web interface titled "High Court Searching" with a "Search Criteria" section. The form includes the following fields:

- Record Number: Year: [input], Case: [input], Proceedings: [dropdown menu]
- Plaintiff: Surname: [input], Forename: [input]
- Defendant: Surname: [input], Forename: [input]
- Set Down Type: [dropdown menu]
- Set Down No.: [input]
- Set Down Venue: [dropdown menu]
- Date Listed in Court: [input], List Type: [dropdown menu]
- Appeal Court Ref.: [input]
- Supreme Court Ref.: [input]

A "Search" button is located at the bottom right of the form.

სურათი 84: უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემა.

ძიების შედეგად საძიებო სისტემა მოსარჩელის სახელსა და გვარს, საქმის ნომერსა და საქმის დასახელებას აჩვენებს. ამავდროულად, მომხმარებელს შეუძლია იხილოს თითოეული საქმის დეტალები. კერძოდ, სისტემა აჩვენებს კონკრეტული საქმის ნომერს, სასამართლოს რომელ ინსტანციებში განიხილეს აღნიშნული საქმე და როდის იქნა მიღებული გადაწყვეტილება. ასევე ჩამოთვლილია, თუ რა ტიპის დოკუმენტები იყო წარდგენილი სხვადასხვა დროს მონაწილე მხარეთა მიერ და აღნიშნული მხარეების სახელები, ასევე მითითებულია, თუ როდის გაიმართა სასამართლო სხდომა (იხ. სურათი #88).

19/07/2011	0	NOTICE OF TERMS OF SETTLEMENT	
19/07/2011	0	Master's Motion	
19/07/2011	0	Affidavits	Deponent PRINCE ADEMOLA ADEKOYA
16/05/2011	0	Affidavits	Deponent PRINCE ADEMOLA ADEKOYA
11/05/2011	0	Affidavits	Deponent PRINCE ADEMOLA ADEKOYA
10/05/2011	0	Affidavits	Deponent PRINCE ADEMOLA ADEKOYA
10/05/2011	0	Affidavits	Deponent PRINCE ADEMOLA DEKOYA
03/05/2011	0	Master's Motion	
19/04/2011	PI 83489 DN	SETTING DOWN FOR TRIAL	
16/02/2011	0	Notice of Change of Solicitor	Solicitor PEMBROKE
17/04/2009	0	Affidavits	Deponent PRINCE ADEKOYA
15/04/2009	0	Affidavits	Deponent PRINCE ADEKOYA
06/04/2009	0	Notice of Discharge	
31/03/2009	0	Affidavits	Deponent AUGUSTINE MAMEDU
31/03/2009	0	Master's Motion	
20/03/2009	0	Notice appointment solicitor	Solicitor GM SOLICITORS
11/02/2009	0	Affidavits	Deponent PRINCE ADEKOYA

სურათი 85: უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა ერთიანი საძიებო სისტემა.

ამასთან, შუალედურ გადაწყვეტილებათა/განჩინებათა სახელის, გამომცემი სასამართლო შემადგენლობის/პალატის დასახელების, გამოცემის თარიღის, ნომრისა და რეგისტრატორის მითითებით, ცალკე გვერდზეა ნაჩვენები, თუ რა შუალედური გადაწყვეტილებები/განჩინებები გამოიცა სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში (იხ. სურათი #89).

Order Details						
ADEKOYA -V- IBM INTERNATIONAL IRISH HOLDINGS LTD 2006/5252 P						
Dated	Result	Perfected	Index No.	Collected	Registrar	Further Info
01/02/2013	Supreme Court (interim) s/o n/m exps to pl	08/03/2013	6141	No	MOD	
27/07/2012	Supreme Court (interim) b/c s/o n/o	15/08/2012	19247	No	MOD	
20/04/2012	MOTION DISMISS	20/04/2012	9853	No	EG	
20/04/2012	P.I. Action Hearing Assessment Judgment	27/04/2012	9839	No	EG	
27/02/2012	COMMON LAW INTERIM	02/03/2012	5272	No	DML	
05/10/2011	MAS Refuse Application	12/10/2011	20296	No	ACL	
03/06/2011	MAS Discovery	29/06/2011	14266	No	ADB	
11/05/2011	MAS Miscellaneous SHOORT SERVICE	11/05/2011	10602	No	MMN	
30/04/2010	Supreme Court (final) Allow Remit to HC	11/05/2010	11141	No	MOD	
02/07/2009	P.I. Action Hearing dismiss	06/07/2009	15019	No	BOD	
21/04/2009	MAS Strike Out Motion	24/04/2009	8661	No	PGG	

სურათი 86: უმაღლესი სასამართლოს ერთიან საძიებო სისტემაში ცალკეული საქმის შესახებ გამოქვეყნებული დეტალები.

ამავდროულად, დაკონკრეტებულია მოსარჩელის (იხ. სურათი #90), მოპასუხისა (იხ. სურათი #91) და მათი წარმომადგენლების ძირითადი დეტალები.

Plaintiff Main Details	
ADEKOYA -V- IBM INTERNATIONAL IRISH HOLDINGS LTD 2006/5252 P	
Plaintiff Name:	ADEKOYA PRINCE
Solicitor Firm:	APPLICANT IN PERSON

სურათი 87: მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის დეტალები.

Defendant Main Details	
ADEKOYA -V- IBM INTERNATIONAL IRISH HOLDINGS LTD 2006/5252 P	
Defendant Name:	IBM INTERNATIONAL IRISH HOLDINGS LTD
Solicitor Firm:	MAPLES & CALDER

სურათი 88: მოპასუხის და მისი წარმომადგენლის დეტალები.

იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ საქმეზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, დაკონკრეტებულია გადაწყვეტილების მიღების თარიღი, მოსამართლის სახელი და გვარი (იხ. სურათი #92).

Judgment Details		
GILLIGAN -V- MURPHY & ORS 2005/2628 P		
Judge	Delivered	Distributed
MR JUSTICE FEENEY	20/12/2011	11/01/2012

სურათი 89: გადაწყვეტილების დეტალები

„ირლანდიის სასამართლოების სერვისის/მომსახურების“ ვებგვერდზე განთავსებულია სტატისტიკის მოდული, სადაც სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებისა და ასევე საქმეთა თემატიკისა და შედეგების მიხედვით მოცემულია ცალკეულ წელს შესული და განხილული საქმეების რაოდენობა (იხ. სურათები #93 და #94).

Topic:	Documents
Court:	Supreme
Category:	Civil
YEAR	2015
Other documents filed in the office of the Supreme Court	
Commissioners appointed	24
Notaries Public appointed	16
Motions:	
Listed before the court	77
Applications for leave to appeal:	
Applications from appellants in person:	48

სურათი 90: სტატისტიკის მოდული

Topic:	Crime					
Court:	Special Criminal Court					
Category:	Criminal					
YEAR:	2015					

Categories	Incoming		Resolved: offences			
	Offences	Defendants	Guilty pleas	Trials		Nolle prosequi
				Convicted	Acquitted	
Membership of illegal organisation	24	24	0	0	15	3
Possession of firearms/ ammunition/ explosive substance	18	7	2	4	0	2
Murder	0	0	1	0	1	1
Theft	0	0	0	0	0	0
Threaten to kill	0	0	0	0	0	0
Other	3	2	0	0	0	0
Total	45	24*	3	4	16	6

* There may be more than one offence brought against a defendant

Offences: outcomes					
	Imprisonment	Nolle prosequi	Acquittal	Taken into consideration non conviction	Total
Membership of illegal organisation	0	3	15	0	18
Possession of firearms/ ammunition/explosive substance	4	2	0	2	8
Murder	1	1	1	0	3
Other	0	0	0	0	0
Total	5	6	16	2	29

სურათი 91: სტატისტიკის მოდული

ესტონეთი

ესტონეთში სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების მოქმედი პრაქტიკის გასაცნობად, ამ თავში აღწერილია ესტონეთის სასამართლოების ერთიანი პლატფორმის სტრუქტურა. აღნიშნულ პლატფორმაზე ქვეყნის ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება. ამავდროულად, აღწერილია ესტონეთის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე არსებული გადაწყვეტილებების განყოფილება.

სასამართლოების ერთიანი პლატფორმა

ესტონეთში სასამართლოს გადაწყვეტილებები საკანონმდებლო ბაზის ერთიან პლატფორმაზეა განთავსებული.¹⁵ ამ პორტალზე მოცემულია პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ 2006 წლიდან მიღებული და უზენაესი სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოთა მიერ 2006 წლამდე მიღებული გადაწყვეტილებების მოსამძებნად ვებგვერდზე ცალკე განყოფილება არსებობს. დაინტერესებულ მხარეს ერთიან საძიებო სისტემაში სასურველი დოკუმენტის მოძიება საქმის ტიპის (საკონსტიტუციო, სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართლის საქმეთა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა) მიხედვით შეუძლია.

¹⁵ პლატფორმის ბმული: <https://www.riigiteataja.ee/en/>

გაფართოებული ძიების შემთხვევაში, მომხმარებელს უწევს შემდეგი ტიპის ინფორმაციიდან მინიმუმ ერთი კრიტერიუმის მითითება:

- საქმის ნომერი;
- გადაწყვეტილების მიღების თარიღი;
- საქმის განხილვის დაწყების თარიღი;
- სასამართლოს დასახელება - ნაჩვენებია ვარიანტები ასარჩევად;
- მოსამართლე - ნაჩვენებია ვარიანტები ასარჩევად;
- პროცედურის/საქმის ტიპი - ჩამოთვლილია ვარიანტები ასარჩევად; • დავების სახეობა - ჩამოთვლილია ვარიანტები ასარჩევად; • საძიებო სიტყვა ტესტში (იხ. სურათი #95).

სურათი 92: ესტონეთის საკანონმდებლო ბაზის ერთიან პლატფორმაზე სასამართლო გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში დავის ტიპებთან ერთად დამატებულია საძიებო ველი, რომელშიც საქმის არსის დაკონკრეტება ხდება. აღნიშნული ველის გამოყენებით, მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა მონიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შემავალი რომელიმე თემატიკა. ამ შემთხვევაშიც ასარჩევად რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტია ჩამოთვლილი. ამასთან, მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა სასურველი გადაწყვეტილება საქმის შედეგის მიხედვითაც მოიძიოს. აღნიშნულ საძიებო ველში ჩამოთვლილია ისეთი ასარჩევი ვარიანტები, როგორცაა სარჩელის დაუშვებლად ცნობა, დაკმაყოფილება და ა.შ. (იხ. სურათი #96).

სურათი 93: ესტონეთის საკანონმდებლო ბაზის ერთიან პლატფორმაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემა.

ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემის მსგავსია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეების გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში სარჩელის ტიპი და მისი შესაძლო ვარიანტებია დამატებული.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს სისხლის სამართლის კონკრეტული მუხლი (იხ. სურათი #97). იგივე ეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების საძიებო სისტემასაც - მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს შესაბამისი კანონის მუხლი.

სურათი 94: ესტონეთის საკანონმდებლო ბაზის ერთიან პლატფორმაზე სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა.

ძიების შემდეგ, საძიებო სისტემა თითოეული საქმის შესახებ შემდეგ ინფორმაციას აჩვენებს:

1. საქმის ნომერი;
2. სასამართლო;
3. დოკუმენტის ტიპი;
4. მოსამართლე;
- 5.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და გადაწყვეტილების მიღების თარიღები. მიბმულია გადაწყვეტილების სრული ტექსტის PDF ვერსია (იხ. სურათი #98).

Kohtulahendite otsingutulemused					
Kohtuasja number	Kohus	Liik	Kohtunik / kohtu koosseis	Jõustumine	Lahendi kuupäev
2-07-2283/11	Tartu Maakohus Tartu kohtumaja	Kohtuotsus	Peet Teidearu	16.08.2007	26.06.2007
2-07-21271/4	Viru Maakohus Rakvere kohtumaja	Kohtuotsus	Maido Roots	24.08.2007	08.08.2007
2-05-1354/7	Tallinna Ringkonnakohus	Kohtuotsus	Ulvi Loonurm, Tiit Kollom, Ülle Jänes	05.09.2007	09.05.2007
2-05-4010/4	Harju Maakohus Kentmanni kohtumaja	Kohtuotsus	Jaanus Saaremõts	07.08.2007	14.06.2007
2-06-34653/2	Harju Maakohus Kentmanni kohtumaja	Kohtuotsus	Jaanus Saaremõts	22.08.2007	29.06.2007
2-05-5990/1	Harju Maakohus Kentmanni kohtumaja	Kohtuotsus	Mai Grauberg	26.06.2007	09.05.2007
2-06-38695/8	Viru Maakohus Jõhvi kohtumaja	Kohtuotsus	Viktor Brügel	05.09.2007	05.04.2007

სურათი 95: ესტონეთის საკანონმდებლო ბაზის ერთიან პლატფორმაზე გადაწყვეტილებათა ძიების შედეგები.

თითოეულ დოკუმენტში დაშტრიხვის გარეშე მოცემულია ინფორმაცია მოსარჩელის, მოპასუხისა და მათი წარმომადგენლების შესახებ (იხ. სურათი #99).

Kohus	Tartu Ringkonnakohus
Kohtukoosseis	Andra Pärsimägi, Üllar Roostoja, Egon Konsand
Määruse kuupäev	21. november 2007
Tsiviilasja number	2-07-2283
Tsiviilasi	Eleonora Anissina hagi Svetlana Goidina vastu 175 346 krooni nõudes
Apellant	Svetlana Goidina, esindaja Kalju Siilivask
Vastustaja	Eleonora Anissina, esindaja Sergei Suhhorukov
RESOLUTSIOON	Jätta Svetlana Goidina taotlus tähtaja ennistamiseks apellatsioonkaebuse esitamisel Tartu Maakohtu 26. juuni 2007. a otsusele rahuldamata.

სურათი 96: ესტონეთის საკანონმდებლო ბაზის ერთიან პლატფორმაზე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებებში ინფორმაცია მხარეთა შესახებ.

პლატფორმაზე გადაწყვეტილებები საკითხების მიხედვითაც არის დახარისხებული. სახელდობრ, ჩამოთვლილია საქმეთა თემატიკა და მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს გადაწყვეტილების ძირითად დეტალებს: საქმის ნომერი, თარიღი, მოკლე აღწერა, ან გაეცნოს გადაწყვეტილების მთლიან ტექსტს (იხ. სურათი #100).

Kohtulahendi kokkuvõtte märksõnad				
Näita kogu nimekirja Peida kogu nimekiri		Asjaõigus		
+ ASJAÕIGUS	Pealkiri	Lahendi number	Kohtulahendi kuupäev	Avaldamise kuupäev
+ AVALIK TEENISTUS	Juurdepääsu eest tasu määramine	3-2-1-180-15	16.06.2016	25.07.2016
+ EHITUS JA PLANEERIMINE	Hagi tagamine	3-2-1-66-16	15.06.2016	21.07.2016
+ HALDUSÕIGUSE ÜLDOSA	Võrgutasu kokkulepe. Võrguettevõtja	3-2-1-29-16	25.05.2016	27.05.2016
+ HARIDUS	Arestimismäärus. Omandiõiguse kaitsmine arestimise vastu tsiviilkohtumenetluses	3-1-1-26-16	06.04.2016	19.04.2016
	Piirdeafia omandiõiguse tunnustamine. Tulumiskohustus, heausksus/pahausksus	3-2-1-136-15	01.04.2016	15.04.2016

სურათი 97: პლატფორმაზე გადაწყვეტილებების კატეგორიზაცია.

ესტონეთის ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები ერთ პლატფორმაზეა განთავსებული. რაც შეეხება საძიებო სისტემას, ის თითოეული მათგანის სპეციფიკაზეა მორგებული. ძიება ასევე შესაძლებელია მოსამართლეთა სახელებისა და საქმის შედეგების მითითებით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული პლატფორმა მომხმარებელს აძლევს საშუალებას აირჩიოს ჩამოთვლილი ძიების ვარიანტებიდან ერთ-ერთი, რაც სისტემის ღია ფორმატით და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითაა განპირობებული. ამგვარი მიდგომა ამარტივებს არამხოლოდ მოსამართლეთა სახელების, არამედ საქმის არსის/დავის საგანისა და გადაწყვეტილებათა მითითებით განხორციელებულ ძიებას. ძიების დროს, მომხმარებელს არ მოეთხოვება იცოდეს ცალკეული კანონის კონკრეტული მუხლების შინაარსი.

გადაწყვეტილებების გარდა, პლატფორმაზე მოცემულია სასამართლოების სხდომათა საძიებო სისტემა. ნებისმიერ საქმეზე გამართული/დაგეგმილი სხდომის დროის გასაგებად მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს: 1. სასამართლოს დასახელება (ჩამოთვლილია ვარიანტები ასარჩევად); 2. დარბაზის ნომერი; 3. მოსამართლე (მითითებულია ვარიანტები ასარჩევად); 4. სხდომის პერიოდი; 4. სასამართლოს გადაწყვეტილების ნომერი; 5. სხდომის დასახელება და/ან 6. სხდომის სახეობა (ჩამოთვლილია ვარიანტები ასარჩევად) (იხ. სურათი #101).

Kohtuistungid **Kohtulahendi avalikustamine**

Kohus / kohtumaja: Kohtulahendi number:

Istungisaal: Kohtuistungi pealkiri:

Kohtunik: Kohtuistungi liik:

Istungi kuupäev: -

Otsi

სურათი 98: სასამართლოს სხდომათა საძიებო სისტემა.

ამავდროულად, პლატფორმაზე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების საძიებო სისტემა. თუ მომხმარებელს სურს გაიგოს ამა თუ იმ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღი ან ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როდის გამოქვეყნდება სასამართლო გადაწყვეტილება, ის სისტემაში შემდეგ მონაცემებს უთითებს:

1. სასამართლოს დასახელება - ჩამოთვლილია შესაძლო ვარიანტები ასარჩევად;
2. მოსამართლის სახელი და გვარი - ჩამოთვლილია შესაძლო ვარიანტები ასარჩევად;
3. გადაწყვეტილების ნომერი;

4. გადაწყვეტილების მიღების შესაძლო პერიოდი (იხ. სურათი #102).

საძიებო სისტემაში მოძებნილ თითოეულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ზემოთჩამოთვლილ ინფორმაციასთან ერთად, ასევე მოცემულია საქმის არსის მოკლე მიმოხილვა.

Kohtulahendi avalikustamine

Kohtulahendi avalikustamise otsingu kaudu saate otsida kohtulahendi avalikuks kuulutamise aegu. Kohtulahendi avalikult teatavaks tegemine on kohtumenetlusliikide alusel erinev. Erisustega saate lähemalt tutvuda siin.

Kohtuistungid Kohtulahendi avalikustamine

Kohus / kohtumaja: *i* Kohtulahendi number: *i*

Kohtunik: *i*

Lahendi kuulutamise kuupäev: - *i*

Otsi

სურათი 99: სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების საძიებო სისტემა

ესტონეთის უზენაესი სასამართლო

ესტონეთის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სასურველი დოკუმენტის გასაცნობად მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს შემდეგი ტიპის ინფორმაცია:

- წელი;
- საქმის ტიპი - შესაძლებელია არჩევა ჩამოთვლილი ვარიანტებიდან;

საქმის

- ნომერი;
- გადაწყვეტილების თარიღი;
- სასამართლო პალატა, რომელმაც საქმე განიხილა - მითითებულია ასარჩევი ვარიანტები;
- საქმის თემატიკა - ჩამოთვლილია ასარჩევი ვარიანტები;
- საძიებო სიტყვა ტექსტში (იხ. სურათი #103).

The screenshot shows a search interface titled 'OTSING'. It contains several input fields and dropdown menus for filtering search results. The fields are: 'Aasta' (Year), 'Asja liik' (Case type), 'Asja reg. nr.' (Case registration number), 'Otsuse kuupäev' (Decision date), 'Kohtukoosseisu tunnus' (Court composition code), 'Menetluse liik' (Procedure type), 'Annotatsioon' (Annotation), 'Tekst' (Text), 'Tulemuse järjestus' (Result order) with sub-selects 'Otsuse kuupäeva järgi' and 'Kahanevalt', and 'Kuvada' (Display) with 'Sisu' selected. A search button labeled 'OTSI' is at the bottom.

სურათი 100: ესტონეთის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემა.

ერთიან საძიებო სისტემასთან ერთად, საქმეები შინაარსის მიხედვითაც არის დაყოფილი: 1. სისხლის სამართლის; 2. სამოქალაქო; 3. ადმინისტრაციული და 4. საკონსტიტუციო სამართალწარმოება (Constitutional Review). გადაწყვეტილებები მოცემულია HTML ფორმატში.

ამავდროულად, მოცემულია საძიებო სისტემა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული სასარჩელო განცხადებების შესახებ. სასურველი ინფორმაციის მოსაძიებლად მომხმარებელმა უნდა მიუთითოს შემდეგი მონაცემები:

- განმცხადებელი;
- სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებაც იქნა გასაჩივრებული - ჩამოთვლილია ასარჩევი ვარიანტები ;
- დავის არსი - ჩამოთვლილია ასარჩევი ვარიანტები;

საქმის

- საქმის ნომერი.

ძიების შედეგად, თითოეულ საქმეზე შემდეგი ინფორმაციის ნახვაა შესაძლებელი:

1. საქმისწარმოების დაწყების დრო;
2. გადაწყვეტილების მიღების თარიღი (არსებობის შემთხვევაში);
3. ნომერი;
4. დავის არსი;
5. სასამართლო;
6. საქმის შედეგი/სტატუსი (იხ. სურათი #104).

MENETLUSTAOTLUSED								
Leiti 358 kirjet, kuvame 1 kuni 100:								
Saabumise kuupäev	Määruse kuupäev	Reg. nr	Asja liik	Av. liik	Kohus	Kohtuasi	Avaldaja	Määrus
30.09.2013		2-4-1-13	T	KM	VLM	2-13-23450	Tartu Maakohus Viljandi kohtumaja	
07.07.2015		2-4-1.1-15	T	KM	PRM	2-14-56591	Pärnu Maakohus	
29.02.2016	31.08.2016	7-1-2-223-16	T	KK	TLR	2-14-54936	Tarmo Toome	mitte menetleda
11.03.2016		7-1-2-260-16	T	KK	TLR	2-09-22329	Triin Pajupuu, Silvia Troost, Kalev Leiger, Peeter Akkel, Aleksandr Zentšenko, Herki Zupping, Rocco Ots, Harras Mölder, Mihkel Mandri, Oliver Kadak, Margus Mängel	
14.03.2016	07.09.2016	7-1-2-266-16	T	MK	TLR	2-15-3957	OSAÜHING PETROIL PVTK	menetleda
18.03.2016	31.08.2016	7-1-2-291.1-16	T	KK	TRR	2-06-15171	Rimma Ivanova	mitte menetleda

სურათი 101: ესტონეთის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სარჩელების საძიებო სისტემა.

რუსეთის ფედერაცია

რუსეთში არსებული პრაქტიკის თანახმად, რუსეთის ყველა სასამართლო საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს ღია ფორმატში სასამართლო გადაწყვეტილებებს. კვლევის მიზნებისთვის და სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების პრაქტიკის გასაცნობად, ამ თავში მოცემულია რუსეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა ერთიანი პლატფორმის სტრუქტურა. ასევე განხილულია სასამართლო გადაწყვეტილებათა სამოქალაქო პლატფორმა, რომელიც სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს.

საქმის

უზენაესი სასამართლო

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სასამართლო დოკუმენტებისთვის/აქტებისთვის სპეციალური განყოფილებაა შექმნილი.¹⁶ დაინტერესებული პირებისთვის დოკუმენტის მოძებნა შემდეგი ინფორმაციის მითითებითაა შესაძლებელი:

- დოკუმენტში საძიებო სიტყვა;
- დოკუმენტის ნომერი;
- დოკუმენტის თარიღი;
- დოკუმენტის სახეობა - ჩამოთვლილია ასარჩევი ვარიანტები (გადაწყვეტილება, განმარტება და ა.შ.);
- ტიპი - ჩამოთვლილია ასარჩევი ვარიანტები (სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და დისციპლინური სამართალწარმოება);
- სასამართლოს ინსტანცია - ჩამოთვლილია ასარჩევი ვარიანტები (პირველი ინსტანცია, აპელაცია, უზენაესი სასამართლო);
- მოსამართლე - ასარჩევად ჩამოთვლილია მოსამართლეთა სახელები (იხ. სურათი #105).

Тексты судебных актов	
Слова в документе	<input type="text"/>
<input type="checkbox"/>	точная фраза
№ документа	<input type="text"/>
Дата документа	<input type="text"/>
Вид документа	- Все -
Тип дела	- Все -
Инстанция	- Все -
Тип документа	- Все -
Докладчик	- Все -
Новые поступления	- Все -
<input type="button" value="ОЧИСТИТЬ"/> <input type="button" value="НАЙТИ"/>	

სურათი 102: რუსეთის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სასამართლო დოკუმენტების საძიებო სისტემა.

ამგვარად, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულია ყველა ინსტანციის მიერ, ყველა ტიპის საქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. ასევე, მომხმარებელს შეუძლია წლების მიხედვით გაეცნოს ცალკეული მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ტექსტებს.

¹⁶ რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი: <http://www.supcourt.ru/>

საქმის

ძიების შედეგების ჩვენებისას, გამოტანილია ნაპოვნი დოკუმენტის ნომერი, თარიღი, მოსამართლის სახელი და სასამართლოს ინსტანცია. ნაპოვნი დოკუმენტზე მიბმულია გადაწყვეტილების PDF ვერსია. შესაძლებელია დოკუმენტის ონლაინ გაცნობა, ამობეჭდვა, ჩამოტვირთვა და გვერდების გადიდება (იხ. სურათი #106).

По запросу найдено - 256 документ(а,ов)	
№ ДК15-54	Решение от 28.09.15. Дисциплинарная коллегия, первая инстанция Докладчик: Куменков Анатолий Викторович Документ в формате PDF Смотри также : № АПЛ15-15Д от 17.12.15 Оставляет в силе
№ АКПИ15-907	Решение от 30.09.15. Судебная коллегия по гражданским делам, первая инстанция Докладчик: Романенков Николай Семёнович Документ в формате PDF Полная информация о производстве
№ АКПИ15-845	Решение от 30.09.15. Судебная коллегия по гражданским делам, первая инстанция Докладчик: Назарова Алла Михайловна Документ в формате PDF Полная информация о производстве
№ АКПИ15-884	Решение от 02.10.15. Судебная коллегия по гражданским делам, первая инстанция Докладчик: Романенков Николай Семёнович Документ в формате PDF Полная информация о производстве
№ АКПИ15-821	Решение от 05.10.15. Судебная коллегия по гражданским делам, первая инстанция Докладчик: Романенков Николай Семёнович Документ в формате PDF Полная информация о производстве
№ АКПИ15-909	Решение от 07.10.15. Судебная коллегия по гражданским делам, первая инстанция Докладчик: Назарова Алла Михайловна Документ в формате PDF Полная информация о производстве
№ АКПИ15-859	Решение от 07.10.15. Судебная коллегия по гражданским делам, первая инстанция Докладчик: Романенков Николай Семёнович Документ в формате PDF Смотри также : № АПЛ15-564 от 22.12.15 Оставлено в силе Полная информация о производстве

სურათი 103: რუსეთის უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სასამართლო დოკუმენტების საძიებო სისტემაში ძიების შედეგები.

სასამართლოს ვებგვერდზე ცალკეული საქმის ისტორიული ქრონოლოგია და მისი ძირითადი დეტალებია მოცემული. აღნიშნულის შედეგად, დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა თვალი ადევნოს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში საქმის მიმდინარეობის პროცესს. არსებობს საქმეთა საძიებო სისტემაც, რომელშიც მომხმარებელმა შემდეგი დეტალები უნდა მიუთითოს:

- საქმის სახეობა - ჩამოთვლილია ასარჩევი ვარიანტები (სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და დისციპლინური სამართალწარმოება);
- სასამართლოს ინსტანცია - ჩამოთვლილია ასარჩევი ვარიანტები (პირველი ინსტანცია, აპელაცია, უზენაესი სასამართლო);
- საქმის ნომერი;
- მხარეთა სახელი და გვარი;
- თარიღი;
